ინვესტორთა დაცვა აუდიტის ზედამხედველობის საშუალებით:

სამუშაო შეხვედრა აუდიტის კომიტეტის შესახებ

ჯარეთ დეკერი
ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის უფროსი
25 ოქტომბერი, 2018, თბილისი

CFRR
Centre for Financial Reporting Reform

WORLD BANK GROUP
Governance

რატომ არის საჭირო საზოგადოებრივი ზედამხედველობა?

- თანამედროვე მოძრაობა აუდიტორული პროფესიის საზოგადოებრივი ზედამხედველობის მიმართულებით დაიწყო კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების სკანდალების ტალღით დაახლოებით 15 წლის წინ აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში.

- ბოლო ათწლეულის განმავლობაში , 2002 წელს სარბეინზ-ოქსლის აქტის მიღებიდან მოყოლებული, მიღწეულ იქნა საყოველთაო კონსენსუსი, რომ აუდიტორებს არ შეუძლიათ საკუთარი თავის ადეკვატური რეგულირება ძირითადად იმიტომ, რომ საამისოდ საკმარისი სტიმული არ გააჩნიათ.

საზოგადოებრივი ზედამხედველობის ძირითადი ფუნქციები

საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანოებს (POB) შეუძლიათ აუდიტის მონიტორინგი და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება ისეთი ღონისძიებებით, როგორებიცაა :

- ფირმების მიერ დანერგილი ხარისხის კონტროლის სისტემების რეგულარული შემოწმება იმის გასარკვევად თუ რამდენად ეფექტურადაა შექმნილი და დანერგილი ისინი
- ფირმების მიერ განხორციელებული ცალკეული აუდიტის რეგულარული შემოწმება მათი ადეკვატურობის შესაფასებლად
- ღონისძიებების შემუშავება ფირმების სტიმულირებისთვის, რომ მათ მოახდინონ გარკვეული რეაგირება ხარისხის კონტროლის სისტემებში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე
- მოკვლევის განხორციელება და დისციპლინური სანქციების დაკისრება ყველაზე სერიოზული ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში იმისათვის, რომ სხვა ფირმებში არ განმეორდეს მსგავსი დარღვევები და მოხდეს ისეთი ფირმების გაძევება ბაზრიდან, რომლებსაც არ შეუძლიათ პროფესიული სტანდარტების შესრულება ან განზრახ არ ასრულებენ მათ.

აუდიტის ზედამხედველობის როლი კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების განვითარებაში

აუდიტორული პრაქტიკის მონიტორინგისა და გაუმჯობესებისთვის მექანიზმების შექმნა შეიძლება ყველაზე ადეკვატური გზა იყოს კორპორაციული ანგარიშგების ხარისხის და სანდოობის ასამაღლებლად

სახელმწიფო ორგანოებს შეიძლება აკლდეთ შესაძლებლობა და რესურსები კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების უშუალო მონიტორინგისთვის	კორპორაციული ანგარიშგების კერძო შემმოწმებლები შეიძლება არ არსებობდნენ ან არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი (ანალიტიკოსები, ფასიანი ქაღალდების სარეიტინგო სააგენტოები, ფინანსური ჟურნალისტები, ინსტიტუციური ინვესტორები)	ბევრ განვითარებად ან საშუალოდ განვითარებულ ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის უმეტესი გამოცდილება წარმოდგენილია ადგილობრივ აუდიტორულ პროფესიაში, საერთაშორისო ქსელის ადგილობრივი წარმომადგენლების ჩათვლით

აუდიტის ზედამხედველობა ფინანსური ანგარიშგების გასაუმჯობესებლად

საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეფექტურმა სისტემამ შეიძლება:

> გააუმჯობესოს ფინანსური ანგარიშგების საერთო სისტემა აუდიტის ხარისხის ამაღლებით და სუსტი ფირმების ბაზრიდან გაძევებით

> აამაღლოს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მიმართ საზოგადოების ნდობა შესრულებული სამუშაოს და საჯარო პროფილის მეშვეობით; და

> ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საზოგადოებრივი კამპანიის საშუალებით

აუდიტორების დამოუკიდებელი ეფექტური ზედამხედველობა **დამაჯერებლობას და ღირებულებას** მატებს ფინანსურ ინფორმაციას.

კონკურენტულ გარემოში ბაზრის გამოყენება და მოთხოვნა ფინანსურ ინფორმაციაზე უნდა გაიზარდოს.

აუდიტის ზედამხედველობა აუმჯობესებს აუდიტის ბაზრის ფუნქციონირებას

საზოგადოებრივ ზედამხედველობას შეუძლია აუდიტის ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესება შემდეგი ღონისძიებებით:

- ცოდნის გაღრმავება ბაზარზე აუდიტის ფუნქციის შესახებ და აუდიტის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები
- მეტი ინფორმაციის მიწოდება ბაზრისთვის კონკრეტული ფირმების და აუდიტორების აუდიტის ხარისხის შესახებ
- სტიმულების გაძლიერება ანგარიშგების და აღსრულების საშუალებით იმისათვის რომ ფირმებმა აამაღლონ აუდიტის ხარისხი
- ბაზრიდან დაბალი ხარისხის ფირმების გაძევება
- პრაქტიკის მუდმივი გაუმჯობესების მცდელობა

როგორი უნდა იყოს საზედამხედველო ორგანოს სტრუქტურა?

აუდიტის საზედამხედველო ორგანო შეიძლება იყოს:

- დამოუკიდებელი და ცალკე დაფინანსების მქონე უწყება
- სამსახური, დანაყოფი ან რაიმე უწყების ნაწილი ფართო მარეგულირებელი ფუნქციით, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი
- სამსახური ან დეპარტამენტი ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში

ევროკავშირის 24 ქვეყნიდან რომლებმაც 2014 წელს IFIAR-ს წარუდგინეს ინფორმაცია თავიანთი საზედამხედველო ორგანოების შესახებ:

- 19 -მა თვითონ შექმნა თავისი საზედამხედველო ორგანო ცალკე
- 5-ის შემთხვევაში ასეთი უწყება ფუნქციონირებს სხვა ორგანიზაციის ან სუბიექტის ფარგლებში

სტრუქტურების მაგალითები

- »აშშ-ს PCAOB შექმნილია როგორც დამოუკიდებელი ორგანო, მაგრამ მისი ბიუჯეტი და მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების მარეგულირებლის (SEC) მიერ განხილვას
- »სინგაპურის აუდიტის საზედამხედველო ორგანო შექმნილია მარეგულირებელთან (ბუღალტრული აღრიცხვის და კორპორაციული რეგულირების ორგანო ACRA), რომელიც პასუხისმგებელია ბიზნეს-სუბიექტების, ბუღალტრების და კორპორაციული სერვისების მიმწოდებლების ზედამხედველობაზე.

სინგაპურის ACRA:

- **კორპორაციული განვითარების სამსახური** ზედამხედველობას უწევს ACRA -ს აკადემიას, კორპორაციული კომუნიკაციების და კორპორაციული მართვის დეპარტამენტებს. ის ასევე უწევს ზედამხედველობას ACRA-ს საგარეო კომუნიკაციებს, საერთაშორისო შეთანხმებებს და დაინტერესებულ მხარეთა ტრენინგს და განათლების პროგრამებს.
- **შესაბამისობის სამსახური** ზედამხედველობას უწევს აღსრულების და სამართლებრივი დევნის დეპარტამენტს.
- **მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახური** ზედამხედველობას უწევს ბიზნესის ინოვაციების სამსახურს და სარეგისტრაციო სერვისების დეპარტამენტს.
- **ფინანსური ანგარიშგების სამსახური** ზედამხედველობას უწევს საფინანსო დეპარტამენტს, ფინანსური ინფორმაციის დეპარტამენტს და ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტს.
- **ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური** ზედამხედველობას უწევს პრაქტიკის მონიტორინგის დეპარტამენტს და პროფესიული ზედამხედველობის დეპარტამენტს. სამსახური არეგულირებს და ხელს უწყობს სინგაპურის ბუღალტრული აღრიცხვის სექტორის განვითარებას. ის აძლიერებს ACRA-ს როგორც ეროვნული მარეგულირებლის როლს და ხელს უწყობს მაღალპროფესიული სტანდარტების დანერგვას ბუღალტრული აღრიცხვის სექტორში.

აშშ-ს PCAOB

- საბირჟო ვაჭრობაში მონაწილე კომპანიების და საბროკერო ფირმების აუდიტორების მარეგულირებელი ერთადერთი ორგანო.
- სამსახურები: რეგისტრაცია და შემოწმებები; სტანდარტები; აღსრულება და მოკვლევა; საერთაშორისო ურთიერთობები.
- საინფორმაციო კამპანია დაინტერესებული მხარეებისთვის ცალკე საკონსულტაციო კომიტეტის საშუალებით; საინვესტიციო საკონსულტაციო ჯგუფი; მცირე ბიზნესის ფორუმი;
- ექსპერტთა მიზნობრივი ჯგუფები ეკონომისტების და ბიზნესის დამკვირვებელი ექსპერტების ჩათვლით.

შემოწმების სისტემების ალტერნატიული სტრუქტურები

გლობალურად არსებობს სამი ფართო მიდგომა აუდიტორული ფირმების შემოწმებასთან დაკავშირებით ქვეყნებში, სადაც:

- საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანო უშუალოდ ამოწმებს სდპ -ს და სხვა სუბიექტების აუდიტორებს
- საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანო უშუალოდ ამოწმებს და ზედამხედველობას უწევს პროფესიული აღრიცხვის ორგანიზაციებს, რომლებიც თავის მხრივ უშუალოდ ამოწმებენ სხვა სუბიექტების აუდიტორებს
- საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანო ზედამხედველობას უწევს ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ ორგანიზაციებს, რომლებიც თავის მხრივ უშუალოდ ამოწმებენ სდპ და სხვა სუბიექტების აუდიტორებს. საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანო შეიძლება ასევე ასრულებდეს რისკზე დამყარებულ განმეორებად პირდაპირ შემოწმებებს ზედამხედველობის განსახორციელებლად მთლიან აუდიტორულ პროფესიაზე.

ერთი შესაძლო მოდელი: ხარისხის შეფასების დაწყება პროფესიულ ორგანიზაციასთან ერთად?

კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნება და მოსაკრებლის შემოღება ინსპექტორების ასანაზღაურებლად საბაზრო ტარიფების შესაბამისად ზოგჯერ შეიძლება უფრო ადვილი იყოს როცა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია თავდაპირველად დელეგირებულია პროფესიულ ორგანიზაციაზე, საზოგადოებრივი საზედამხედველო ორგანოს მხრიდან კონტროლის და რისკზე დამყარებული შემოწმებების პირობებში.

- დაფინანსება მოსაკრებლის შეფასების საფუძველზე შეიძლება სტაბილური/ადეკვატური იყოს
- შეიძლება არ იყოს საჯარო სამსახურისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები ხელფასებზე
- პროფესიულ ორგანიზაციას შეიძლება ესმოდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე მომუშავე პირების გამოცდილების/სხვა ატრიბუტების საჭიროება

პროფესია თავისთავად შეიძლება მობილიზებულ იქნეს ახალი სისტემის ადეკვატური დაფინანსების და პერსონალით დაკომპლექტების მხარდასაჭერად.

ძალისხმევა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დამოუკიდებლობის მიმართულებით

თუ ხარისხის უზრუნველყოფა იწყება პროფესიული ორგანიზაციით, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის დამოუკიდებლობა შეიძლება გაძლიერდეს ისეთი ღონისძიებების საშუალებით, როგორებიცაა საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანოს ჩართულობა და დამტკიცება შემდეგისთვის:

- კომიტეტის ან საბჭოს შერჩევის და შემადგენლობის კონტროლი პროფესიული ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც ზედამხედველობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციას დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად
- ინსპექტორების დაქირავება, გათავისუფლება და ანაზღაურება;
- შემოწმებების და შემოწმების ანგარიშგების დაგეგმვა;
- უწყვეტი ტრენინგი და განვითარება.

შემოწმებების გუნდი შემდეგ შეიძლება გადაყვანილ იქნეს საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანოში

შემოწმებების დროს რისკზე ფოკუსირება

ცალკეული აუდიტორული შემოწმების განხილვა საზედამხედველო ორგანოს მიერ მოითხოვს არსებით დროს, რესურსებს და გამოცდილებას

საზედამხედველო ორგანოებს ამგვარად შეუძლიათ მათი იურისდიქციის ფარგლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების მხოლოდ მცირე ნაწილის შეფასება

ეფექტურობის მისაღწევად საზედამხედველო ორგანოებმა უნდა დააგროვონ საკმარისი გამოცდილება ისეთი აუდიტორული შემოწმებების იდენტიფიკაციისთვის, რომლებიც ყველაზე სავარაუდოდ ქმნიან არსებით რისკებს შემდეგ საფუძველზე:

> აუდიტის ნაკლოვანებების ალბათობა

>პოტენციური გავლენა დაინტერესებულ მხარეებზე

საზედამხედველო ორგანოებმა ასევე უნდა შეძლონ იმის იდენტიფიკაცია თუ აუდიტორული ფირმის შიდა ხარისხის კონტროლის რომელი პროგრამაა ადეკვატური კომპეტენტური აუდიტის უზრუნველსაყოფად

მოკვლევა და დისციპლინა

ეფექტურობისთვის ყოველ მარეგულირებელ სისტემას უნდა ჰქონდეს აღსრულების მექანიზმი, რომელსაც შეუძლია სერიოზული სანქციების დაკისრება შეუსაბამობისთვის და ეს რა თქმა უნდა თანაბრად ეხება აუდიტის რეგულირებას

ამასთან ერთად, აუდიტის რეულირების ძირითადი ფუნქცია არის არაკომპეტენტური და არაეთიკური მონაწილეების ბაზრიდან გაძევება

აღსრულების სისტემის სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნულ კანონმდებლობაზე და სამართლებრივ გარემოზე

აღსრულების ეფექტურ სისტემას უნდა ჰქონდეს:

- საკმარისი რესურსები კომპლექსური ფაქტების მოკვლევისთვის
- წვდომა საექსპერტო გამოცდილებასთან აუდიტის და ხარისხის კონტროლის სტანდარტების შესახებ
- სამართლიანი და დამოუკიდებელი პროცესი ბრალდებისა და გასამართლებისთვის

საზოგადოებრივი ზედამხედველობის სტრატეგიული წარმართვა

- უდაბლესი ხარისხის მქონე აუდიტორების იდენტიფიკაცია და ბაზრიდან გაძევება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან აუდიტის ბაზარს, პროფესიას და საზოგადოების ნდობას
- შემოწმებების და აღსრულების როგორც შესაძლებლობების განვითარების ინსტრუმენტების გამოყენება
- ბაზრის გაძლიერება აუდიტორული მომსახურებისთვის უფრო მეტად ფოკუსირებით აუდიტის ხარისხზე; აუდიტორული პროფესიის სტიმულების გადაჯგუფება
- „აზროვნების ლიდერის“ როლის შესრულება აუდიტორული სერვისების შემუშავებასა და გამოყენებაში “

აუდიტორული ფირმის სავალდებულო როტაცია

- » აშშ-ში არ გამოიყენება; ევროკავშირში ზოგადად 10 წლის შემდეგ, მაგრამ უფრო ხანგრძლივი პერიოდი კონკურენტული ტენდერის შემთხვევაში
- » კონკურენტული არგუმენტები:
  - » ბევრი წლის შემდეგ ფირმა ზედმეტად კომფორტულად გრძნობს თავს კლიენტთან
  - » სტიმული შეიძლება აღარ არსებობდეს განმეორებადი შეცდომების გასწორების თვალსაზრისით
  - » „ახალ თვალს“ შუძლია პრბლემების დაფიქსირება
  - » პერიოდულ ტენდერს შეუძლია კონკურენციის ამაღლება/ საბაზრო კონცენტრაციის შემცირება

მაგრამ:

- » აუდიტორის შეცვლა უკავშირდება მაღალ ხარჯებს
- » ახალი აუდიტორები შეიძლება არ იცნობდნენ კომპანიას, მის რისკებს ან სისტემებს
- » პერიოდულმა ტენდერებმა შეიძლება გამოიწვიოს კონკურენცია ფასის თვალსაზრისით და არა ხარისხის კუთხით
- » ტენდერებს რეალურად შეუძლიათ აუდიტის ბაზრის კონცენტრაციის ზრდა

აუდიტის ხარისხის ინდიკატორები: სინგაპურის ACRA

No.	AQI	Engagement-Level / Firm-Level
1	**AUDIT HOURS** Time Spent by Senior Audit Team Members	Engagement-Level
2	**EXPERIENCE** Years of Audit Experience and Industry Specialisation	Engagement-Level
3	**TRAINING** Average Training Hours and Industry Specific Training	Engagement-Level & Firm-Level
4	**INSPECTION** Results of External and Internal Inspections	Engagement-Level & Firm-Level
5	**INDEPENDENCE** Compliance with Independence Requirements	Engagement-Level & Firm-Level
6	**QUALITY CONTROL** Headcount in Quality Control Functions	Firm-Level
7	**STAFF OVERSIGHT** Staff per Partner / Manager Ratio	Firm-Level
8	**ATTRITION RATE** Degree of Personnel Losses	Firm-Level

საზოგადოების ინფორმირების კამპანია აუდიტის კომიტეტთან დაკავშირებით

- აუდიტორული შემოწმების და ზედამხედველობის შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია აუდიტის კომიტეტი, რომელსაც აკისრია დამოუკიდებელი აუდიტორების შენარჩუნების და კომპანიასა და გარე აუდიტორებს შორის ურთიერთობის ზედამხედველობის პასუხისმგებლობა;
- ძლიერი საზედამხედველო ორგანოები უშუალოდ აწარმოებენ საინფორმაციო კამპანიას დირექტორთა ინსტიტუტებთან და სხვა ორგანოებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით, აუდიტის კომიტეტებში აუდიტის ზედამხედველობიდან ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ.
- აუდიტის კომიტეტებმა ყოველთვის უნდა მოითხოვონ შემოწმების შედეგების ნახვა.

ძირეული მიზეზების ანალიზი: გაერთიანებული სამეფოს მაგალითი

გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC):

“ძირეული მიზეზების ანალიზი (‘RCA’) წარმოადგენს პრობლემების ან მოვლენების მიზეზების იდენტიფიკაციის პროცესს მათი განმეორების პრევენციის მიზნით. ის ემყარება მოსაზრებას, რომ ეფექტური მართვა მოითხოვს არა მარტო პრობლემებზე რეაგირებას არამედ მათი პრევენციის გზების გამონახვას. ძირეული მიზეზების ანალიზი ასევე შეიძლება იყოს სანიმუშო პრაქტიკის იდენტიფიკაციის საშუალება უწყვეტი გაუმჯობესების ფარგლებში.“

ახალი ტექნოლოგიების გამოწვევა აუდიტში

- გლობალური ფირმები, განსაკუთრებით დიდი ოთხეულის წარმომადგენლები, უდიდეს ინვესტიციებს ახორციელებენ „დიდი მონაცემების“ ანალიზის შესაძლებლობის განვითარებაში, მანქანურ სწავლასა და ხელოვნურ ინტელექტში და სხვა ტექნოლოგიებში, რაც გარდაქმნის აუდიტის ბუნებას.
- ნიმუშის ტესტირებაზე უპირატესი გახდება პოპულაციის ტესტირება, მონიშვნის სხვადასხვა ფუნქციები ავტომატიზებული გახდება და აუდიტი იქნება გაცილებით კაპიტალტევადი შრომატევადი საქმიანობის ნაცვლად.
- პროფესიული აზროვნება და ადამიანის საექსპერტო გამოცდილება კვლავ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, მაგალითად ბუღალტრული გამოთვლების შეფასებაში, მაგრამ აუდიტორების სამუშაოს ზედამხედველობა გაცილებით მეტად იქნება ფოკუსირებული სისტემების ტესტირებაზე.

ტექნოლოგიური ჩამორჩენის რისკი

- მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო მატულობს ტექნოლოგიური ჩამორჩენის რისკი აუდიტის და საფინანსო სექტორის მარეგულირებლებს და მათი რეგულირების ქვეშ მყოფ გლობალურ ფირმებს შორის.
- განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან და აუდიტის გარდაქმნასთან ერთად მომდევნო წლებში, აუდიტის მარეგულირებლებს მოუწევთ ადაპტაცია, რომ განახორციელონ გლობალური აუდიტური მეთოდოლოგიების შეფასება.
- აუდიტის ეროვნულ მარეგულირებლებს დასჭირდებათ თამშრომლობა გლობალური მასშტაბით იმისათვის, რომ უზრუნველყონ აუდიტის გლობალური მეთოდოლოგიების შეფასება.

საერთაშორისო თანამშრომლობა: IFIAR

- აუდიტის დამოუკიდებელ მარეგულირებელთა საერთაშორისო ფორუმი (IFIAR) წარმოადგენს აუდიტის დამოუკიდებელ მარეგულირებელთა ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა 2006 წელს იმისათვის, რომ თავის წევრებს მისცეს აუდიტის საბაზრო გარემოს და აუდიტის დამოუკიდებელი საქმიანობის რეგულირების პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაზიარების საშუალება, აუდიტორების და აუდიტორული ფირმების შემოწმებაზე ფოკუსირებით.
- თავისი წესდების შესაბამისად IFIAR -მა მიიღო დამოუკიდებელი პრინციპები ეფექტური დამოუკიდებელი აუდიტის ხელშეწყობის მიზნით, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აუდიტის ხარისხის ამაღლების გზით საზოგადოების და ინვესტორების ინტერესების დაცვის საქმეში.